



ეგზ. N 1

„ვამტკიცებ“

თავდაცვის, საზოგადოებრივი
წესრიგისა და უსაფრთხოების სფეროს
აუდიტის დეპარტამენტის უფროსი

ვაჟა ბრაგვაძე

„---13--“--07-- 2016 წელი

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს

2015 წლის

ფინანსური აუდიტის ანგარიში 44/36

სარჩევი

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ	3
ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით	3
აუდიტორის პასუხისმგებლობა.....	4
პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძვლები.....	4
უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების არასრულად ასახვა	4
ხანდაზმული დებიტორული დავალიანებები.....	6
კრედიტორული დავალიანებები.....	8
ძირითადი აქტივის აღურიცხაობა	9
ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა.....	9
პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების ფორმების შესახებ	10
ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მდგომარეობა	10
ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება.....	15
შრომის ანაზღაურება	17
„საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“ პროგრამული კოდი - 27 02 01.....	17
სამინისტროს აპარატი - პროგრამული კოდი-27 01	18
„სრულყოფილი პრობაციის სისტემა“ - პროგრამული კოდი - 27 02 02.....	19
სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები.....	21
სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოთა შესყიდვა	21
სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების ხარვეზები.....	21
ფინანსური აქტივების ზრდა - აქციები და სხვა კაპიტალი.....	29

დასკვნა ფინანსური ანგარიშგების შესახებ

სახელმწიფო აუდიტის სამსახურმა ჩაატარა საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ფინანსური აუდიტი, რომელიც მოიცავს სამინისტროს ნაერთ ბალანსს და მასთან დაკავშირებულ ეკონომიკური კლასიფიკაციის მიხედვით ხარჯების, არაფინანსური აქტივებით საკასო ოპერაციების, ფინანსური აქტივებითა და ვალდებულებებით საკასო ოპერაციების, წმინდა ღირებულების, ეკონომიკური საქმიანობით მიღებული სახსრების, არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის, ეკონომიკური ნაკადების შედეგად ფინანსური აქტივებისა და ვალდებულებების ცვლილებების და არაფინანსური აქტივების ანალიზური აღრიცხვის შესახებ ანგარიშგებას 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით.

ასევე მოიცავს 2015 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის მოდიფიცირებული საკასო მეთოდით შედგენილ ფინანსური მდგომარეობის შესახებ ანგარიშს (ბალანსს), ფინანსური შედეგების შესახებ ანგარიშს, ფულადი სახსრების მოძრაობის შესახებ ანგარიშს, კაპიტალში ცვლილებების შესახებ ანგარიშს, ბიუჯეტის და ფაქტიური თანხების შედარების ანგარიშს, ორგანიზაციის ანგარიშს არაფინანსური აქტივების მიღება-გასვლის შესახებ, სხვა მოვლენების შედეგად ფლობით მიღებული მოგება/ზარალის შესახებ ანგარიშს და ახსნა-განმარტებით შენიშვნებს.

ხელმძღვანელობის პასუხისმგებლობა ფინანსურ ანგარიშგებასთან დაკავშირებით

სამინისტროს ხელმძღვანელობა პასუხისმგებელია ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებასა და მის წარდგენაზე საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების, საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის N429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის და საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2013 წლის 8 აპრილის „სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი ორგანიზაციების მიერ მოდიფიცირებული საკასო მეთოდით ფინანსური ანგარიშგების ფორმების დამტკიცების შესახებ“ #97 ბრძანების შესაბამისად. შესაბამისად, აღნიშნული პასუხისმგებლობა მოიცავს შიდა კონტროლის სისტემის შემუშავებას, დანერგვასა და შენარჩუნებას, რაც საჭიროა ისეთი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისა და წარდგენისათვის, რომელიც არ შეიცავს შეცდომით ან განზრახ არამართლზომიერი ქმედებით (თაღლითობით) გამოწვეულ არსებით უზუსტობას.

აუდიტორის პასუხისმგებლობა

სახელმწიფო აუდიტის სამსახური პასუხისმგებელია აუდიტის საფუძველზე გამოთქვას მოსაზრება წარმოდგენილ ბუღალტრულ ანგარიშგებაზე. აუდიტი წარიმართა უმაღლესი აუდიტორული ორგანოების საერთაშორისო სტანდარტების (ISSAI) შესაბამისად. აღნიშნული სტანდარტებით მოითხოვება აუდიტორების მიერ ეთიკის მოთხოვნების დაცვა, აუდიტის დაგეგმვა და წარმართვა იმგვარად, რომ მიღებულ იქნას გონივრული რწმუნება იმის შესახებ, შეიცავს თუ არა ბუღალტრული ანგარიშგება არსებით უზუსტობას.

აუდიტი ითვალისწინებს პროცედურების ჩატარებას აუდიტორული მტკიცებულებების მოსაპოვებლად ბუღალტრულ ანგარიშგებაში ასახული თანხების შესახებ. პროცედურები შეირჩევა აუდიტორის განსჯის საფუძველზე, რაც მოიცავს ბუღალტრული ანგარიშგების არსებითი უზუსტობების რისკების შეფასებას, რომლებიც გამოწვეულია თაღლითობით ან შეცდომით. ამ რისკების შეფასების დროს, აუდიტორი განსაზღვრავს შესაფერისია თუ არა შიდა კონტროლი უტყუარი ბუღალტრული ანგარიშგების მომზადებისათვის. შიდა კონტროლის შეფასება მიზნად ისახავს მოცემული გარემოებების შესაფერისი აუდიტორული პროცედურების დაგეგმვას და არა შიდა კონტროლის ეფექტიანობაზე მოსაზრების გამოთქმას. აუდიტი აგრეთვე გულისხმობს ხელმძღვანელობის მიერ გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკისა და მნიშვნელოვანი სააღრიცხვო შეფასებების მართებულობის შეფასებას, ასევე მთლიანად ბუღალტრული ანგარიშგების წარდგენის შეფასებას.

ჩვენს მიერ მოპოვებული აუდიტორული მტკიცებულებები საკმარისი და შესაფერისი საფუძველია აუდიტორული მოსაზრების გამოსათქმელად.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს 2015 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს: სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს აპარატის (კოდი 27 01+27 02 01), სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ (კოდი 27 02 02), სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ (კოდი 27 03) და „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით“-სამედიცინო დეპარტამენტის (კოდი 27 04) ფინანსურ ანგარიშგებებს. სამინისტროს დაფინანსების წყაროებია სახელმწიფო ბიუჯეტი, საკუთარი შემოსავლები და მიზნობრივი გრანტი.

პირობითი აუდიტორული მოსაზრების საფუძველები

უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების არასრულად ასახვა

„ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით“ პროგრამის (კოდი 27 04) ფარგლებში საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოს

მიერ 2012-2014 წლებში უსასყიდლოდ მიღებული მედიკამენტების შესაბამის პერიოდებში აღრიცხვა ხორციელდებოდა არასრულად. აღნიშნული აღურიცხავი მედიკამენტების ბუღალტრულად აღრიცხვა მოხდა 2015 წელს, რამაც ასახვა ჰპოვა 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში და გამოიწვია „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ #1627 აღმრიცხველ ანგარიშზე ნაშთის მკვეთრი ზრდა, კერძოდ 33,336.8 ათასი ლარით შემოსავლის მატება და შესაბამისად ხარჯებში მცირე ჩამოწერები.

„ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით“ პროგრამის (კოდი 27 04) ფარგლებში სხვა სამედიცინო მომსახურებებთან ერთად ბრალდებულთა და მსჯავრდებულთათვის ხორციელდება „პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში „ვირუსული C ჰეპატიტის“, „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადების“ და „შიდსის დაავადებათა“ პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის სახელმწიფო პროგრამა.

2015 წელს პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში „ვირუსული C ჰეპატიტის“ დაავადების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის ფარგლებში მიღებულია 32,891.4 ათასი ლარის მედიკამენტები, მათ შორის არის 2014 წელს მიღებული და ბუღალტრულად აღურიცხავი 531.3 ათასი ლარის მედიკამენტები, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა მოხდა 2015 წელს. დანარჩენი 32,360.1 ათასი ლარის მედიკამენტები ეკუთვნის 2015 წელს.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში „ტუბერკულოზისა და ფილტვის დაავადებათა პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის“ ფარგლებში 2015 წელს ბუღალტრულად აღრიცხულია სულ 251.4 ათასი ლარის მედიკამენტები, მათ შორის არის 2012 წელს მიღებული და აღურიცხავი - 1.7 ათასი ლარის, 2014 წელს მიღებული და აღურიცხავი - 16.5 ათასი ლარის მედიკამენტები, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა მოხდა 2015 წელს. დანარჩენი მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალები - თანხით 233.2 ათასი ლარი ეკუთვნის 2015 წელს.

პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის დაწესებულებებში „შიდსის დაავადების პრევენციის, დიაგნოსტიკისა და მკურნალობის პროგრამის“ ფარგლებში მიღებულია სულ 194.1 ათასი ლარის მედიკამენტები. მათ შორის არის 2012 წელს მიღებული და აღურიცხავი 41.3 ათასი ლარის მედიკამენტები, 2013 წელს მიღებული და აღურიცხავი 138.7 ათასი ლარის მედიკამენტები, 2014 წელს მიღებული და აღურიცხავი 9.2 ათასი ლარის მედიკამენტები, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა მოხდა 2015 წელს. დანარჩენი 4.9 ათასი ლარის მედიკამენტების მიღება და ასახვა ეკუთვნის 2015 წელს.

სულ სახელმწიფო პროგრამის ფარგლებში სამივე სახის დაავადების სამკურნალოდ სამინისტროს მიერ უსასყიდლოდ მიღებულია 33,336.8 ათასი ლარის ღირებულების მედიკამენტები და სამედიცინო სახარჯი მასალები, მათ შორისაა გასული პერიოდის 2012-2014

წლებში მიღებული 738.6 ათასი ლარის აღურიცხავი მედიკამენტები, რომელთა ბუღალტრული აღრიცხვა და შემოსავლად აღიარება მოხდა 2015 წელს.

აუდიტის ობიექტის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, წინა წლებში მიღებული მედიკამენტების ნაწილის 2015 წელს აღრიცხვა გამოწვეულია იმით, რომ მომწოდებლებისგან მიღებული მედიკამენტები შესაბამისი დოკუმენტაციით პირდაპირ მიდიოდა პენიტენციურ დაწესებულებებში, სადაც ადგილობრივი ხელმძღვანელობისა და მთავარი ექიმის მიერ მიღებაზე ხელმოწერებით დადასტურების შემდეგ ზოგიერთ შემთხვევებში ინახებოდა ადგილზე. იმის გამო, რომ მედიკამენტები იყო ჰუმანიტარული და მასზედ არ წარმოებდა გადახდა, მედიკამენტების მიწოდების თანხვლები პირველადი საბუღალტრო დოკუმენტები არ შედიოდა საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველოში და რჩებოდა აღურიცხავი, სხვა დანარჩენი კი - რომლებიც წარმოდგენილი იყო სამსახურებრივი ბარათით და დოკუმენტბრუნვის პროგრამა EFLOW-ს საშუალებით, სათანადოდ სრულად აისახებოდა ბუღალტრულ აღრიცხვაში. აღნიშნული შეცდომის გამოსასწორებლად საბუღალტრო აღრიცხვის სამმართველომ მოახდინა მომწოდებელ-დონორ ორგანიზაციებთან ბუღალტრული ჩანაწერების შედარება, ასევე მოახდინეს პირველადი საბუღალტრო დოკუმენტების წარმოდგენა პენიტენციური დაწესებულებებიდან და მოხდა მათი ბუღალტრული აღრიცხვა და შემოსავლად აღიარება 2015 წელს, თუმცა მათი ჩამოწერა ხარჯებში სრულად ვერ მოხერხდა. ასევე, ვერ ხერხდება შესაბამის პერიოდებში ხარჯებში ჩამოწერა 2015 წელს სამინისტროს მიერ შეძენილ 2,445.8 ათასი ლარის მედიკამენტებზე, სამედიცინო სახარჯ მასალებსა და მცირეფასიან სამედიცინო ინვენტარზე, რაც გამოწვეულია პენიტენციური დაწესებულებებიდან შესაბამისი ხარჯვის დამადასტურებელი დოკუმენტაციის წარმოუდგენლობით ან/და არასათანადოდ (არასრულყოფილად) შევსებული დოკუმენტაციის ან მათი დაგვიანებით წარმოდგენით. აღნიშნული საკითხი მიუთითებს 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით „სხვა დანარჩენი მატერიალური მარაგების“ #1627 აღმრიცხველი ანგარიშის ნაშთის (თანხით 43,325.4 ათასი ლარი) არარეალობაზე. განხილული საკითხი საჭიროებს დარეგულირებას და მოწესრიგებას.

ასევე, #1627 ანგარიშზე ნარჩენი ღირებულებით არის აღრიცხული #8 დაწესებულებაზე რიცხული ამორტიზებული და ჯართად ჩამოწერილი 200ლიტრიანი 11ცალი ელექტრო ქვაბი, საერთო ღირებულებით 73,920 ლარი. აღნიშნული ქონება ბალანსში ასახული უნდა იყოს ჯართის ღირებულებით.

ხანდაზმული დებიტორული დავალიანებები

სააუდიტო პერიოდში სამინისტროს ბალანსზე რიცხული დებიტორული დავალიანება 2015 წლის 1 იანვრისთვის შეადგენდა 12,020.0 ათას ლარს. აღნიშნული დავალიანება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით შემცირებულია 9,353.7 ათას ლარამდე.

დებიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

მოთხოვნები (ათას ლარებში)	01.01.2016	01.01.2015
ბიუჯეტის მიმართ მოთხოვნები	47	42
დარიცხული ჯარიმებით, სანქციებით	245	-
ფულად სახსრებზე აქტივების/მომსახ. მიწოდებით	1	-
საქონლის და მომსახურების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	512	761
არაფინანსური აქტივების მიღებაზე წინასწარი გადახდებით	7,814	10,622
არაფინანსური აქტივების დანაკლისებით	50	50
ანგარიშვალდებული პირების მიმართ	11	17
მომუშავეების მიმართ მოთხოვნები	25	21
სხვა დანარჩენი მოკლევადიანი მოთხოვნები	3	7
აქციები და სხვა კაპიტალი	645	500
სულ	9,353	12,020

მთლიანი მოთხოვნების 92%-ს მოიცავს აპარატის (პროგრამული კოდი 27 01+27 02 01) დებიტორები. აქედან, 5,312.2 ათასი ლარი წარმოშობილია 1996-2010 წლებში და ირიცხება სხვადასხვა მომწოდებლებზე. ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით არ ჩატარებულა მოთხოვნების ინვენტარიზაცია¹, შესაბამისად დებიტორ ორგანიზაციებთან არ გაფორმებულა ურთიერთშეთანხმების აქტები და არ გატარებულა სათანადო ღონისძიებები არსებული დებიტორული დავალიანებების რეალობის დასადგენად².

ხანდაზმული უიმედო დებიტორული დავალიანებები არც საცნობარო მუხლშია გადატანილი („გადახდისუუნარო დებიტორების ჩამოწერილი დავალიანება - 03“), რაც შეუსაბამოა კანონმდებლობის მოთხოვნებთან³, რომლის მიხედვითაც უიმედო დებიტორული დავალიანების თანხები აიღება ბალანსის საცნობარო მუხლში.

აღნიშნული ხანდაზმული მოთხოვნების ყველაზე დიდი ხვედრითი წილი მოდის 2005 წელს წარმოშობილ შპს „ნოლა“-ს დავალიანებაზე⁴, რომელიც შეადგენს 4,299.5 ათას ლარს და

¹ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

² საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2010 წლის 23 ივლისის #605 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციებში ქონების, მოთხოვნებისა და ვალდებულებების ინვენტარიზაციის ჩატარების წესი“.

³ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 26-ე მუხლის 31-ე პუნქტი.

⁴ აღნიშნულის შესახებ წინა აუდიტის ანგარიშშიც იყო დაფიქსირებული.

რომელზეც ვერც მიმდინარე აუდიტის ფარგლებში იქნა წარმოდგენილი შესაბამისი დოკუმენტაცია.

2015 წლის 31 დეკემბრისათვის საბალანსო ანგარიშზე „მოთხოვნები არაფინანსური აქტივების დანაკლისებით“ რიცხულმა ნაშთმა შეადგინა 50.3 ათასი ლარი, რომელიც წარმოადგენს ყოფილი სასჯელაღსრულების დეპარტამენტის 2003 წლამდე წარმოშობილ დანაკლისს⁵.

კრედიტორული დავალიანებები

სააუდიტო პერიოდში სამინისტროს ბალანსზე რიცხული კრედიტორული დავალიანება 2015 წლის 1 იანვრისათვის შეადგენდა 3,211.0 ათას ლარს, აღნიშნული დავალიანება 2015 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით გაზრდილია 3,259.0 ათას ლარამდე.

კრედიტორული დავალიანების სტრუქტურა წარმოდგენილია ცხრილის სახით:

ვალდებულებები	(ათას ლარებში)	01.01.2016	01.01.2015
საქონლის და მომსახურების მოწოდებით დარიცხული		929	1,089
არაფინანსური აქტივების მოწოდებით დარიცხული		1,522	1,638
ბიუჯეტის წინაშე დარიცხული ვალდებულებები		507	194.4
მომუშავეთათვის დარიცხული ხელფასი და სხვა გადასახდელები		280	278.3
სხვა მოკლევადიანი კრედიტორული დავალიანებები		21	21
სულ		3,259	3,221

მთლიანი კრედიტორული დავალიანების 99%-ს (3,220.1 ათასი ლარი) მოიცავს აპარატის (პროგრამული კოდი 27 01+27 02 01) კრედიტორები, საიდანაც 2,686.0 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 1996-2009 წლებში (მათ შორის 496.0 ათასი ლარის დავალიანება წარმოშობილია 2003 წლამდე). ნაშთების რეალურობის დადგენის მიზნით სამინისტროში ვალდებულებების ინვენტარიზაცია არ ჩატარებულა⁶.

⁵ აღნიშნულის შესახებ დაფიქსირებული იყო წინა აუდიტის ანგარიშშიც.

⁶ საქართველოს პრეზიდენტის 1998 წლის 6 თებერვლის #70 ბრძანებულებით დამტკიცებული „საქართველოში ბუღალტრული აღრიცხვისა და ანგარიშგების შესახებ“ დებულების მე-14 მუხლის და მე-15 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტები.

2015 წლამდე წარმოქმნილი სამინისტროს კრედიტორული დავალიანებები 2,738.7 ათასი ლარის ოდენობით ფინანსურ ანგარიშგებაში არ არის ასახული ბალანსის საცნობარო მუხლში („ვადაგადაცილებული დავალიანებები - 09“), რაც შეუსაბამოა კანონმდებლობასთან⁷.

ასევე, არ შეესაბამება ერთმანეთს 2014 წლის ფინანსური ანგარიშგების ბალანსის საცნობარო მუხლის („ვადაგადაცილებული დავალიანებები - 09“) წლის ბოლოს არსებული (გადმომავალი) ნაშთი 2015 წლის ფინანსურ ანგარიშგებაში ასახულ საცნობარო მუხლის („ვადაგადაცილებული დავალიანებები - 09“) წლის დასაწყისის ნაშთს.

ძირითადი აქტივის აღრიცხვა

სამინისტროს სასწყოზო სამმართველოში ინახებოდა ავტომანქანის ერთი ერთეული მეორადი 2,5 კბ. ტურბოიანი დიზელის ძრავი, რომელიც ამოღებულია სამინისტროს ბალანსზე რიცხული 2015 წელს ჩანაცვლებული ავტომანქანა „მიცუბიში L200“-დან, 2007 წლის გამოშვება, სახელმწიფო #DEK – 110, შემდგომში მისი საჭიროებისამებრ გამოსაყენებლად, თუმცა აღნიშნული ძრავი არ იყო ბუღალტრულად აღრიცხული. ვინაიდან ძრავი წარმოადგენს ღირებულ სათადარიგო (ვარგის) ნაწილს, აუდიტის ჯგუფის რეკომენდაციის საფუძველზე მოხდა მისი შეფასება კერძო აუდიტორის მიერ და ძრავის საბაზრო ღირებულება დადგინდა 7,110 ლარის ოდენობით. სააუდიტო პერიოდშივე მოხდა მისი ასახვა ბუღალტრულად ძირითადი აქტივების #2121 ანგარიშზე „სატრანსპორტო საშუალებები“ და სამინისტროს ბალანსზე აყვანა.

ქონების და მოთხოვნა-ვალდებულებების ინვენტარიზაციის განუხორციელებლობა

2015 წლის 1 ოქტომბრის #6451 ბრძანებით შექმნილმა საინვენტარიზაციო კომისიამ, რომელსაც ინვენტარიზაციის დასრულების ვადად განესაზღვრა 2016 წლის 1 აპრილი, განახორციელა სამინისტროს ბალანსზე რიცხული ქონების ფაქტიური აღწერა. თუმცა სააუდიტო პერიოდში ვერ მოხერხდა ფაქტიური მდგომარეობის და საბუღალტრო მონაცემების შედარება. პასუხისმგებელი პირების განმარტებით, სამინისტროს ცენტრალურ აპარატში 2014 წელს ინვენტარიზაციის ნაწილობრივმა ჩატარებამ, 2010 წლის შემდეგ ყოფილ სასჯელაღსრულების დეპარტამენტში ინვენტარიზაციის ჩატარებლობამ, შემდგომ 2015 წლის 1 ივლისს მისმა ლიკვიდაციამ და სამინისტროს რეორგანიზაციამ გამოიწვია მოცულობით დიდი სამუშაოები, რის გამოც ინვენტარიზაციის დასრულების ვადა გაგრძელდა 2016 წლის 1

⁷ საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის 29-ე მუხლის 36-ე პუნქტი.

ივლისამდე. სააუდიტო პერიოდში ვერ მოესწრო ინვენტარიზაციის შედეგების წარმოდგენა, რის გამოც ვერ დასტურდება ბალანსზე აღრიცხული ქონების ნაშთების რეალობა.

ბალანსზე რიცხული შენობა-ნაგებობების შემოწმებისას გამოვლინდა, რომ საბუღალტრო პროგრამის ჩანაწერებით შენობა-ნაგებობების ანგარიშებზე, კერძოდ, „არასაცხოვრებელი შენობები - 2112“ კვლავ ირიცხება შემდეგი დასახელების ობიექტები. მაგალითად: „#8 დაწესებულების შეხვედრის ოთახების მოწყობა“, „სპეცრაზმის ტირის ოთახების მოწყობის სამუშაოები“, „სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სპეც. დანიშნულების რაზმის სველი წერტილების და სხვადასხვა დანიშნულების ოთახების სარემონტო სამუშაოები“, „შენობის რემონტი“, „ეზოს მოწყობა“, „ელმომარაგება“, „გაზმომარაგება“, „მშენებლობა“ და სხვა. შესაბამისად, შენობა-ნაგებობების უმრავლესობა საჭიროებს იდენტიფიკაციას⁸ და ზუსტი დასახელებით შეტანას საბუღალტრო მონაცემებში.

პირობითი მოსაზრება ფინანსური ანგარიშგების ფორმების შესახებ

ფინანსური ანგარიშგების შესახებ პირობითი მოსაზრების საფუძვლებში აღწერილი საკითხების გავლენის გარდა, წარმოდგენილი სამინისტროს 2015 წლის ნაერთი ფინანსური ანგარიშგების ფორმები და დანართები, ყველა არსებითი ასპექტის გათვალისწინებით მომზადებულია საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2014 წლის 31 დეკემბრის #429 ბრძანებით დამტკიცებული „საბიუჯეტო ორგანიზაციების ბუღალტრული აღრიცხვის და ფინანსური ანგარიშგების შესახებ“ ინსტრუქციის დანართების შესაბამისად.

ბიუჯეტის დაგეგმვის და შესრულების მდგომარეობა

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს ასიგნებებისა და რიცხოვნობის ზღვრული მოცულობები 2015 წლის საბიუჯეტო განაცხადით ჭერის ფარგლებში განისაზღვრა 155,000 ათასი ლარით და 4,924 ერთეულით, რაც „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით იქნა დამტკიცებული, ხოლო ამავე ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილების შესაბამისად,⁹ განისაზღვრა 150,500 ათასი ლარით და 4,923 ერთეულით.

სამინისტროს დამტკიცებული და დაზუსტებული ასიგნებების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

⁸ აღნიშნულის შესახებ დაფიქსირებული იყო წინა აუდიტის ანგარიშშიც.

⁹ საქართველოს კანონი „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებების შეტანის თაობაზე, #4576-ლს, 27.11.2015წ.

2015წ

განაცხადით
(სექტემბერი)

(ათას ლარებში)

დასახელება	გეგმა კ/ზ	გეგმა კ/ფ	დამტკიც. 31.12.2014	დამტკიც. 27.11.2015	დაზუსტებული	სხვაობა 6-4
1	2	3	4	5	6	7
27 00-საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	167,465.0	155,000.0	155,000.0	150,500.0	150,500.0	-4,500.0
შრომის ანაზღაურება	70,256.0	65,417.0	65,417.0	65,417.0	67,520.5	2,103.5
საქონელი და მომსახურება	57,405.0	57,405.0	58,559.0	58,174.0	59,476.8	917.8
გრანტები	6.0	6.0	6.0	6.0	6.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	957.0	957.0	957.0	957.0	1,137.5	180.5
სხვა ხარჯები	2,582.0	2,582.0	2,582.0	2,582.0	2,200.4	-381.6
არაფინანსური აქტივების ზრდა	36,259.0	28,633.0	27,479.0	23,364.0	20,003.7	-7,475.3
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	155.1	155.1
27 01-პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	4,715.0	4,715.0	5,009.0	8,440.0	8,395.0	3,386.0
შრომის ანაზღაურება	2,825.0	2,825.0	2,825.0	4,362.0	4,432.0	1,607.0
საქონელი და მომსახურება	1,600.0	1,600.0	1,754.0	3,644.0	3,467.3	1,713.3
სოციალური უზრუნველყოფა	50.0	50.0	50.0	60.0	60.0	10.0
სხვა ხარჯები	40.0	40.0	40.0	134.0	113.5	73.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	200.0	200.0	340.0	240.0	320.0	-20.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	2.2	2.2
27 02-სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	146,474.0	134,009.0	133,715.0	126,768.0	128,816.3	-4,898.7
შრომის ანაზღაურება	60,279.0	55,440.0	55,440.0	53,940.0	55,875.0	435.0
საქონელი და მომსახურება	47,900.0	47,900.0	48,900.0	47,053.0	50,399.5	1,499.5
გრანტები	6.0	6.0	6.0	6.0	6.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	850.0	850.0	850.0	840.0	970.0	120.0
სხვა ხარჯები	2,530.0	2,530.0	2,530.0	2,440.0	2,082.6	-447.4
არაფინანსური აქტივების ზრდა	34,909.0	27,283.0	25,989.0	22,489.0	19,483.3	-6,505.7
27 02 01-საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	138,354.0	125,889.0	125,595.0	118,681.0	120,243.5	-5,351.5
შრომის ანაზღაურება	55,439.0	50,600.0	50,600.0	49,100.0	50,985.0	385.0
საქონელი და მომსახურება	46,700.0	46,700.0	47,700.0	45,886.0	49,208.2	1,508.2

გრანტები	6.0	6.0	6.0	6.0	6.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	800.0	800.0	800.0	790.0	920.0	120.0
სხვა ხარჯები	2,500.0	2,500.0	2,500.0	2,410.0	2,065.3	-434.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	32,909.0	25,283.0	23,989.0	20,489.0	17,059.0	-6,930.0
27 02 01 01- ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	104,545.0	99,706.0	100,706.0	97,392.0	102,094.5	1,388.5
შრომის ანაზღაურება	55,439.0	50,600.0	50,600.0	49,100.0	50,985.0	385.0
საქონელი და მომსახურება	45,800.0	45,800.0	46,800.0	45,086.0	48,118.2	1,318.2
გრანტები	6.0	6.0	6.0	6.0	6.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	800.0	800.0	800.0	790.0	920.0	120.0
სხვა ხარჯები	2,500.0	2,500.0	2,500.0	2,410.0	2,065.3	-434.7
27 02 01 02-პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა	33,515.0	25,889.0	24,889.0	21,289.0	18,149.0	-6,740.0
საქონელი და მომსახურება	900.0	900.0	900	800	1090	190.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	32,615.0	24,989.0	23,989	20,489	17,059	-6,930.0
27 02 02-სრულყოფილი პრობაციის სისტემა	8,120.0	8,120.0	8,120.0	8,087.0	8,572.8	452.8
შრომის ანაზღაურება	4,840.0	4,840.0	4,840.0	4,840.0	4,890.0	50.0
საქონელი და მომსახურება	1,200.0	1,200.0	1,200.0	1,167.0	1,191.3	-8.7
სოციალური უზრუნველყოფა	50.0	50.0	50.0	50.0	50.0	0.0
სხვა ხარჯები	30.0	30.0	30.0	30.0	17.3	-12.7
არაფინანსური აქტივების ზრდა	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,000.0	2,424.3	424.3
27 03-სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	1,006.0	1,006.0	1,006.0	991.0	991.0	-15.0
შრომის ანაზღაურება	235.0	235.0	235.0	235.0	235.0	0.0
საქონელი და მომსახურება	710.0	710.0	710.0	710.0	703.9	-6.1
გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
სოციალური უზრუნველყოფა	7.0	7.0	7.0	7.0	16.0	9.0
სხვა ხარჯები	4.0	4.0	4.0	4.0	2.5	-1.5
არაფინანსური აქტივების ზრდა	50.0	50.0	50.0	35.0	33.4	-16.6

ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	0.2	0.2
27 04-ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით	15,270.0	15,270.0	15,270.0	14,301.0	12,297.7	-2,972.3
შრომის ანაზღაურება	6,917.0	6,917.0	6,917.0	6,880.0	6,978.5	61.5
საქონელი და მომსახურება	7,195.0	7,195.0	7,195.0	6,767.0	4,906.2	-2,288.8
სოციალური უზრუნველყოფა	50.0	50.0	50.0	50.0	91.5	41.5
სხვა ხარჯები	8.0	8.0	8.0	4.0	1.9	-6.1
არაფინანსური აქტივების ზრდა	1,100.0	1,100.0	1,100.0	600.0	167.0	-933.0
ვალდებულებების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	152.6	152.6

დამტკიცებულ და დაზუსტებულ გეგმებს შორის სხვაობა 4,500 ათასი ლარი გამოწვეულია შემდეგი ცვლილებებით:

- „საბიუჯეტო დეფიციტის მართვის მიზნით გასატარებელი ზოგიერთი ღონისძიების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 6 მარტის #422 განკარგულებიდან გამომდინარე, „საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის ასიგნებების გაზრდის თაობაზე“¹⁰ საქართველოს მთავრობის განკარგულების შესრულების მიზნით, 2015 წლის 14 აპრილს, ყველა პროგრამული კოდიდან ჯამურად საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში მიმართულ იქნა 1,000.0 ათასი ლარი („საქონელი და მომსახურების“ მუხლიდან - 385.0 ათასი ლარი, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლიდან - 615.0 ათასი ლარი);
- 27 02 01 02 – „პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა“ პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებები შემცირებულ იქნა 6,740.0 ათასი ლარით, საიდანაც 3,500.0 ათასი ლარი შემცირდა „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილების შედეგად; 3,140.0 ათასი ლარი - რეზერვინგისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამინისტროსთან ინტეგრაციის შედეგად გასატარებელი ღონისძიებების გამო გადატანილ იქნა 27 02 01 01 – „ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ და 27 01 – „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ პროგრამულ კოდებზე; 100.0 ათასი

¹⁰ საქართველოს მთავრობის 2015 წლის 8 აპრილის #706 განკარგულება.

ლარი გადატანილ იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში, შემდეგ უკვე აისახა დამტკიცებულ გეგმაში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებით.

ასიგნებების სხვა დანარჩენი დაზუსტებები გამოწვეულია სამინისტროს პროგრამულ კოდებს, პროგრამის ფარგლებში ეკონომიკური კლასიფიკაციის მუხლებსა და ასევე, კვარტლებს შორის გადანაწილებებით:

კერძოდ, სამინისტროს სისტემის რეზერდინგისა და სასჯელაღსრულების დეპარტამენტის სამინისტროსთან ინტეგრაციის შედეგად გასატარებელი ღონისძიებების გამო 27 01 - „პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ პროგრამული კოდით გათვალისწინებული ასიგნებები გაზრდილ იქნა 3,386.0 ათასი ლარით (მათ შორის „შრომის ანაზღაურების“ მუხლი - 1,607.0 ათასი ლარით, „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 1,713.3 ათასი ლარით), რაც გადმოტანილ იქნა სამინისტროს 27 02 01 01, 27 02 01 02 და 27 04 პროგრამული კოდებიდან;

27 04 - „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ პროგრამით გათვალისწინებული ასიგნებები შემცირდა 2,972.3 ათასი ლარით (მათ შორის „საქონელი და მომსახურების“ მუხლი - 2,288.8 ათასი ლარით, „არაფინანსური აქტივების ზრდის“ მუხლი - 933.0 ათასი ლარით). შინაპატიმრობის ელექტრონული მონიტორინგის სისტემის დასაწერად დამატებითი დაფინანსება გახდა საჭირო, რის გამოც 27 04 კოდის I კვარტლის ტენდერების ეკონომიები მიმართულ იქნა 27 02 02 კოდში. სამედიცინო აპარატურის ხარჯების შემცირების შედეგად თანხა გადატანილ იქნა საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდში, შემდეგ კი აისახა დამტკიცებულ გეგმაში „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონში ცვლილებით. საახალწლოდ თანამშრომელთა წახალისების მიზნით თანხა გადატანილ იქნა 27 02 01 01 კოდზე, რადგან წინასწარი ანალიზის შედეგად ჯანდაცვის მიმართულებით დადებულ ხელშეკრულებებში რჩებოდა აუთვისებელი თანხები.

„ვალდებულებების კლების“ მუხლი თავდაპირველი დამტკიცებული ბიუჯეტით გათვალისწინებული არ ყოფილა. აღნიშნული მუხლის 155.1 ათასი ლარით დაზუსტება გამოწვეულია დაგვიანებით მიღებული ფინანსური დოკუმენტაციით (2014 წლის კრედიტორული დავალიანებებით). დაზუსტება შეეხო 27 01 - „პენიტენციური პოლიტიკის შემუშავება და მართვა“ (2.2 ათასი ლარი), 27 03 - „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისთვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება“ (0.2 ათასი ლარი) და 27 04 - „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ (152.6 ათასი ლარი) პროგრამულ კოდებს. „ვალდებულებების კლების“ მუხლზე თანხები გადანაწილებულია ეკონომიკური

კლასიფიკაციის „სხვა ხარჯების“ და „საქონელი და მომსახურების“ მუხლებიდან. აღნიშნული დაზუსტება განხორციელებულია „საქართველოს 2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ კანონის მე-19¹¹ და 32-ე¹² მუხლების შესაბამისად.

2015 წლის 1 ივლისიდან განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია. ამასთან დაკავშირებით მოხდა „ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება“ (27 02 01 01) და „პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა“ (27 02 01 02) პროგრამული კოდების გაყოფა შესაბამისად 01 და 02 კოდებად.

კერძოდ, 27 02 01 01 01 (ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) კოდზე დარჩა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დროინდელი 6 თვის ხარჯი, ხოლო 27 02 01 01 02 (ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება) კოდზე წარმოებს რეფორმის შემდგომი პერიოდის გადასახდელების დაფარვა, რომელსაც უკვე ახორციელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო;

27 02 01 02 01 (პატიმრობისა და თავისუფლების აღკვეთის აღსრულების დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონების შექმნა) კოდზე დარჩა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის დროინდელი 6 თვის ხარჯი, ხოლო 27 02 01 02 02 (პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა) კოდზე წარმოებს რეფორმის შემდგომი პერიოდის გადასახდელების დაფარვა, რომელსაც უკვე ახორციელებს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო.

ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება

სამინისტროს 2015 წლის დაზუსტებული ბიუჯეტის და გადახდილი თანხების შესახებ ინფორმაცია მოცემულია ცხრილის სახით:

¹¹ მუხლი 19: „წინა წლებში წარმოქმნილი ფაქტობრივი დავალიანებების დასაფარავად საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფმა საბიუჯეტო ორგანიზაციებმა შესაძლებელია გამოიყენონ 2015 წელს მათთვის გამოყოფილი ასიგნებები იმ პირობით, რომ არ დაიშვება ახალი დავალიანების დაგროვება, რისთვისაც მთელი პასუხისმგებლობა ეკისრებათ აღნიშნულ ორგანიზაციებს“.

¹² მუხლი 32: „უფლება მიეცეს საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროს, პროგრამის „ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით უზრუნველყოფა“ ფარგლებში 2014 წელს შესრულებული სამუშაოების დაფინანსება განახორციელოს ამ კანონით საქართველოს სასჯელაღსრულების და პრობაციის სამინისტროსთვის დამტკიცებული ასიგნებებიდან“.

(ათას ლარებში)

დასახელება	დაზუსტებული გეგმა წლიური	გადახდა წლიური (საბიუჯეტო და საკუთარი სახსრები, მიზნობრივი გრანტი)	% გადახდა/დაზუსტებ
27 00-საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	150,500	149,007.9	99%
27 01-პენიტენციური სისტემის პოლიტიკის შემუშავება და მართვა	8,395.0	8,161.8	97%
27 02-სისხლის სამართლის სისტემის რეფორმა	128,816.3	127,853.5	99%
27 02 01-საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება	120,243.5	117,722.5	98%
27 02 01 01-ბრალდებულ/მსჯავრდებულთა ყოფითი და საცხოვრებელი პირობების გაუმჯობესება	102,094.5	101,864.1	100%
27 02 01 02-პენიტენციურ დაწესებულებებში არსებული ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და საწარმოო ზონის შექმნა	18,149.0	15,858.4	87%
27 02 02-სრულყოფილი პრობაციის სისტემა	8,572.8	10,130.9	118%
27 03-სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემისათვის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება	991.0	1,050.6	106%
27 04-ბრალდებულთა და მსჯავრდებულთა უზრუნველყოფა ეკვივალენტური სამედიცინო მომსახურებით	12,297.7	11,942.1	97%

27 02 02 „სრულყოფილი პრობაციის სისტემა“ პროგრამული კოდით საბიუჯეტო სახსრებით გადახდა შეადგენს 8,369.5 ათას ლარს (8,369.5 ათასი ლარი/8,572.8 ათასი ლარი=98%) და ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება დაზუსტებული გეგმის ზევით (118 %) გამოწვეულია საკუთარი შემოსავლების 1,757.3 ათასი ლარის და 2014 წლის მიზნობრივი გრანტის ნაშთის - 4,060.37 ლარის ხარჯვით.

27 03 „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სისტემის თანამშრომელთა მომზადება და პროფესიული განვითარება“ პროგრამული კოდით საბიუჯეტო სახსრებით გადახდა შეადგენს 925.6 ათას ლარს (925.6 ათასი ლარი/991.0 ათასი ლარი=93%) და ბიუჯეტის გადასახდელების შესრულება დაზუსტებული გეგმის ზევით (106%) გამოწვეულია 125.0 ათასი ლარის მიზნობრივი გრანტის ხარჯვით.

შრომის ანაზღაურება

სამინისტროს 2015 წლის მთლიან გადახდებში შრომის ანაზღაურების მუხლი მოიცავს 46%-ს, საიდანაც შრომის ანაზღაურების 89% მოდის 27 02 01 კოდზე „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“, სამინისტროს აპარატსა და სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნულ სააგენტოზე“.

„საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“ პროგრამული კოდი - 27 02 01

სამინისტროს 27 02 01 პროგრამულ კოდზე „საერთაშორისო სტანდარტების შესაბამისი პენიტენციური სისტემის ჩამოყალიბება“ თავდაპირველად დამტკიცებული გეგმის ფარგლებში შრომის ანაზღაურება განსაზღვრული იყო 3,901 საშტატო ერთეულზე. 2015 წლის ივლისიდან, სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაციის შემდგომ, 138 საშტატო ერთეული გადავიდა სამინისტროს 27 01 პროგრამულ კოდზე. შედეგად, ბიუჯეტის კანონში განხორციელებული ცვლილებით აღნიშნულ პროგრამულ კოდზე საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 3,763 ერთეულით.

27 02 01 პროგრამული კოდით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 50,950.8 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ქვემუხლების და თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)

	დასახელება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ
1	თანამდებობრივი სარგო	3,468	3,453	3,474	3,445	3,477	3,499	3,367	3,395	3,368	3,443	3,411	3,415	41,217
2	პრემია	-	70	299	529	83	79	9	-	320	-	-	2,482	3,871
3	დანამატი	303	295	329	333	337	348	319	336	331	343	328	277	3,879
4	პრემია+დანამატი	303	365	627	862	420	427	328	336	651	343	328	2,759	7,749
	%-ული თანაფარდობა (4/1)	9%	11%	18%	25%	12%	12%	10%	10%	19%	10%	10%	81%	19%
5	წოდებრივი სარგო	68	68	69	68	69	71	66	68	60	62	66	67	802
6	კომპენსაცია	159	158	158	158	161	162	114	113	-	-	-	-	1,182
7	პრემია+დანამატი +წოდებ+კომპენს	530	591	854	1,089	650	659	508	516	711	405	394	2,826	9,733
	%-ული თანაფარდობა (7/1)	15%	17%	25%	32%	19%	19%	15%	15%	21%	12%	12%	83%	24%

პრემიის გაცემის პერიოდულობა და ოდენობა საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან ¹³ შესაბამისობაშია.

შინაარსი	2015წ.	(ლარი)
ერთჯერადად გაცემული პრემიის მაქს. ოდენობა ¹⁴	2,540	
ერთჯერადად გაცემული დანამატის მაქს. ოდენობა ¹⁵	6,250	
პრემიის/დანამატის ხელფასზე მაქსიმალური ¹⁶	2,65	
გადამეტება(ჯერ)		
ერთ მომუშავეზე პრემიის/დანამატის მაქს. ოდენობა ჯამურად ¹⁷	75,250	

33 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პრემიისა და დანამატის (ჯამურად) ხელფასზე 2-ჯერ და მეტ გადამეტებას. ხშირ შემთხვევებში ადგილი ჰქონდა უფლებამოსილი პირის ერთი ბრძანების საფუძველზე კონკრეტულ თანამშრომლებზე „ზეგანაკვეთური მუშაობისა და განსაკუთრებით საპასუხიმიგებლო ფუნქციური დატვირთვისათვის“ წინასწარ 2 და 3 თვით ხელფასზე ფულადი დანამატების დანიშვნას. 10 შემთხვევაში ადგილი ჰქონდა მაქსიმალური ოდენობის დანამატის 6,250 ლარის წლის განმავლობაში ყოველთვიურ გაცემას, თუმცა თანამდებობრივ სარგოზე 2.3-ჯერ მეტი დანამატი, თავისი ყოველთვიური შინაარსიდან გამომდინარე, უფრო თანამდებობრივი სარგოს ხასიათს ატარებს, ვიდრე დანამატის.

სამინისტროს აპარატი - პროგრამული კოდი-27 01

სამინისტროს აპარატის შრომის ანაზღაურება 2015 წლის თავდაპირველად დამტკიცებული ბიუჯეტით განსაზღვრული იყო 139 საშტატო ერთეულზე, ხოლო ამავე წლის ივლისში ბიუჯეტის კანონში შეტანილი ცვლილების შემდგომ, სამინისტროს 27 02 01 და 27 04 პროგრამული კოდებიდან განხორციელდა შესაბამისად, 138 და 4 საშტატო ერთეულის გადმოტანა და საბოლოოდ, აპარატის საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 281 ერთეულით.

27 01 პროგრამული კოდით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 4,421.0 ათასი ლარის საკასო ხარჯი. აღნიშნული ხარჯი ქვემუხლებისა და თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

¹³ საქართველოს მთავრობის #449 დადგენილება, 2014 წლის 15 ივლისი

¹⁴ დაწესებულების დირექტორი

¹⁵ გაცემულია 33 თანამშრომელზე

¹⁶ პენიტ. დეპარტამენტის მთავარი სამმართველოს უფროსი

¹⁷ დაწესებულების დირექტორი

(ათას ლარებში)

	დასახელება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ
1	თანამდებობრივი სარგო	159	151	156	158	162	164	304	297	353	338	365	343	2,949
2	პრემია	1.15	1.15	-	74	-	-	12	-	49	-	-	279	416
3	დანამატი	50	55	52	62	64	86	105	109	121	120	140	92	1,055.7
4	პრემია+დანამატი	51	56	52	136	64	86	117	109	170	120	140	371	1,471.6
	%-ული თანაფარდობა (4/1)	32%	37%	33%	86%	40%	52%	39%	37%	48%	35%	38%	108%	50%

პრემიის გაცემის პერიოდულობა და ოდენობა საქართველოს მთავრობის დადგენილებასთან შესაბამისობაშია.

შინაარსი	2015წ.	(ლარი)
მაქსიმალური თანამდ/სარგო	3,540	
ერთჯერადად გაცემული პრემიის მაქს. ოდენობა ¹⁸	2,070	
ერთჯერადად გაცემული დანამატის მაქს. ოდენობა ¹⁹	2,950	
პრემიის და დანამატის ხელფასზე მაქსიმალური ²⁰	1,6	
გადამეტება (ჯერ)		
ერთ მომუშავეზე პრემიის/დანამატის მაქს. ოდენობა ჯამურად ²¹	33,550	

„სრულყოფილი პრობაციის სისტემა“ - პროგრამული კოდი - 27 02 02

პროგრამის განმახორციელებელია - სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“.

2015 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო“-ს საშტატო რიცხოვნობა განისაზღვრა 324 ერთეულით. სააგენტოს შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო თვიური ოდენობა შეადგენდა 61 ერთეულს, რაც საშტატო რიცხოვნობის დაახლოებით 19%-ია, აღნიშნული ბიუჯეტის კანონით განსაზღვრულ ოდენობაზე მეტია, რაზეც არსებობს საქართველოს მთავრობის განკარგულება. შტატგარეშე მომუშავეთა საშუალო თანამდებობრივი სარგო

¹⁸ დეპარტამენტის უფროსის მოადგილე

¹⁹ მინისტრი, მინისტრის პირველი მოადგილე

²⁰ დეპარტამენტის უფროსი

²¹ მინისტრი

შეადგენს 1,090 ლარს, ხოლო შტატით მომუშავეთა საშუალო თანამდებობრივი სარგო შეადგენს 1,245 ლარს. ზემოაღნიშნული ოდენობები შესაბამისობაშია 2015 ბიუჯეტის შესახებ კანონთან. სააგენტოს მიერ შტატგარეშე მომუშავეთა პრემიები გაცემულია მხოლოდ საკუთარი შემოსავლებიდან - 69.4 ათასი ლარის ოდენობით. შტატით მომუშავე თანამშრომლებზე პრემია გაცემულია როგორც საბიუჯეტო, ასევე საკუთარი სახსრებიდან, ხოლო დანამატები - მხოლოდ საბიუჯეტო სახსრებიდან.

27 02 02 პროგრამული კოდით „შრომის ანაზღაურების“ მუხლით გაწეულია 5,329.4 ათასი ლარის საკასო ხარჯი (მათ შორის საბიუჯეტო სახსრებით - 4,890.0 ათასი ლარის ოდენობით). აღნიშნული ხარჯი ქვემუხლებისა და თვეების მიხედვით წარმოდგენილია ცხრილის სახით:

(ათას ლარებში)

	დასახელება	1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	სულ
1	თანამდებობრივი სარგო	395	388	396	397	395	394	390	389	386	386	386	385	4,687.9
2	პრემია-საკუთარი სახსრებიდან	36	10.9	-	54.1	27.2	-	58.3	46.7	30.9	34.6	15	125.7	439.5
3	პრემია-საბიუჯეტო სახსრებიდან	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	-	50.3	50.3
4	დანამატი - საბიუჯეტო სახსრებიდან	-	24.9	-	6.5	15	8.2	-	-	29.9	-	21.7	45.7	151.8
5	პრემია+დანამატი	36	35.8	-	60.6	42.2	8.2	58.3	46.7	60.8	34.6	36.7	221.7	641.5
	%-ული თანაფარდობა (5/1)	9%	9%	-	15%	11%	2%	15%	12%	16%	9%	10%	58%	14%

ინფორმაცია გაცემული პრემიების და დანამატების შესახებ მოცემულია ცხრილის სახით:

შინაარსი	2015წ.	(ლარი)
მაქსიმალური თანამდ/სარგო ²²	2,800	
ერთჯერადად გაცემული პრემიის მაქს. ოდენობა ²³	2,600	
ერთჯერადად გაცემული დანამატის მაქს. ოდენობა ²⁴	2,800	
ერთ მომუშავეზე პრემიის/დანამატის მაქს. ოდენობა ჯამურად ²⁵	31,200	

²² სააგენტოს თავმჯდომარე

²³ სააგენტოს თავმჯდომარე

²⁴ სააგენტოს თავმჯდომარე

²⁵ სააგენტოს თავმჯდომარე (მათ შორის პრემია მხოლოდ საკუთარი სახსრებიდან - 17,100 ლარი)

სამინისტროს მიერ განხორციელებული სახელმწიფო შესყიდვები

2015 წლის 1 ივლისიდან განხორციელდა სასჯელაღსრულების დეპარტამენტის ლიკვიდაცია და მის ნაცვლად შესყიდვებს ახორციელებს სამინისტრო. სახელმწიფო შესყიდვების ფარგლებში, სამინისტროს მიერ 2015 წლის განმავლობაში გამოცხადებულია 319 ტენდერი, საიდანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 238 ტენდერზე, 9 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით, 61 ტენდერი არ შედგა, 11 ტენდერი შეწყდა.

სამინისტროს მმართველობის სფეროში მოქმედი სსიპ „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ მიერ 2015 წლის განმავლობაში გამოცხადებულია 39 ტენდერი, საიდანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 35 ტენდერზე, 4 ტენდერი კი არ შედგა. სსიპ „სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის“ მიერ გამოცხადებულია 23 ტენდერი, საიდანაც ხელშეკრულება გაფორმებულია 13 ტენდერზე, 2 ტენდერი დასრულდა უარყოფითი შედეგით და 8 ტენდერი არ შედგა.

სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოთა შესყიდვა

2015 წლის განმავლობაში სამინისტროს სისტემაში სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოების შესყიდვაზე სულ გაწეულია 12.5 მლნ. ლარის საკასო ხარჯი, მათ შორის საიდუმლო ხელშეკრულებების ფარგლებში - 12.3 მლნ. ლარის ხარჯი.

აღნიშნულ სამუშაოთა შესყიდვაზე გაწეული ხარჯების შერჩევითი შემოწმების შედეგად, სააუდიტო პერიოდში ოთხ შემთხვევაში (ხელშეკრულება) გამოვლინდა, რომ სამშენებლო ნორმებისა და წესების დარღვევით, ასევე სამშენებლო სამუშაოთა ღირებულებაზე დამატებული ღირებულების არასწორად დარიცხვის შედეგად სამ სამშენებლო საწარმოზე სამინისტროს მიერ ზედმეტად გადახდილია 81.4 ათასი ლარი. ამ უკანასკნელი თანხიდან მიმდინარე აუდიტის პერიოდში სახელმწიფო ბიუჯეტის ანგარიშზე დაბრუნებულია 80.8 ათასი ლარი.

სამშენებლო-სამონტაჟო და სარემონტო სამუშაოთა შესყიდვისას გამოვლენილი დარღვევა-ნაკლოვანებები დეტალურად განხილულია წინამდებარე ფინანსური აუდიტის ანგარიშის საიდუმლო ნაწილში.

სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების ხარვეზები

2015 წლის 3 დეკემბერს დამთავრდა წინადადებების მიღება 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით კვებითი მომსახურების შესყიდვაზე ელექტრონული ტენდერის საშუალებით (SPA 150030225), შესყიდვის სავარაუდო ღირებულებით - 57,921,000.00 ლარი.

ტენდერში მონაწილეობა მიიღო 4 პრეტენდენტმა (შპს „G.M.M.“, შპს „ნატურალ +“, შპს „თალაურა მენეჯმენტ კომპანი“ და შპს „niartvision“). ვაჭრობის შედეგად სისტემაში სატენდერო წინადადების ყველაზე დაბალი ფასი დააფიქსირა შპს „G.M.M“-მა - 46,336,801.00 ლარი, ხოლო ფასების დაზუსტების შემდგომ - 46,336,726.36 ლარი, რომელიც შესყიდვის სავარაუდო ღირებულებასთან მიმართებაში მნიშვნელოვნად შემცირებულია (სხვაობა შეადგენს 11,584,273.64 ლარს ანუ 20%-ზე მეტს). კერძოდ, შპს „G.M.M“-მა ბრალდებულ/მსჯავრდებულის კვებითი მომსახურების დღიურ ფასად შესთავაზა 3,65 ლარი. აღნიშნულზე სატენდერო კომისიამ იმსჯელა და 2015 წლის 10 დეკემბრის N2 ოქმში დააფიქსირა ის გარემოება, რომ 2015 წლის ივნისში (2015 წლის კვებითი მომსახურების ხელშეკრულებასთან დაკავშირებით) შპს „G.M.M“-მა მიმართა სასჯელაღსრულების დეპარტამენტს კვებითი მომსახურების ფასის გაზრდის თაობაზე. აღნიშნული მიმართვის საფუძველი იყო სსიპ „ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“²⁶-დან 2015 წლის 22 მაისს წარმოდგენილი ფინანსური ექსპერტიზის დასკვნა N5002514915, რომლითაც დადასტურდა შპს „G.M.M“-ის მიერ გამოყენებული პროდუქციის ფასების ზრდა, რაც დასკვნის მიხედვით გამოწვეულია სამომხმარებლო ბაზარზე ფასების მომატებითა და ლარის კურსის მკვეთრი ცვლილებით. კერძოდ, 2014 წლის 30 დეკემბრის N383 ხელშეკრულებით ბრალდებულ/მსჯავრდებულის კვებითი მომსახურების დღიური ფასი განისაზღვრებოდა 4,13 ლარით. შპს „G.M.M“-ის მიერ წარმოდგენილი ექსპერტიზის დასკვნის გათვალისწინებით და საქართველოს ფინანსთა სამინისტროს 2015 წლის 4 ივნისის N04-02/57256 წერილობითი თანხმობით, სასჯელაღსრულების დეპარტამენტმა მიიღო გადაწყვეტილება და 2015 წლის 5 ივნისის N2 ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გაზარდა 1 ბრალდებულ/მსჯავრდებულის კვებითი მომსახურების დღიური ღირებულება 10%-ით, რამაც შეადგინა - 4,543 ლარი. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ურთიერთშეთანხმების გაფორმების დღეს 1 აშშ დოლარის გაცვლითი კურსი 1 ლართან მიმართებაში იყო 2,29, ხოლო მ/წლის თებერვლის თვეში - დაახლოებით 2,48.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სატენდერო კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ შპს „G.M.M“-ს წარმოედგინა ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთება სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს“ დასკვნით - ზემოთ აღნიშნული ფაქტორების, გამოცდილების, სავარაუდო რისკების და დღეს მოქმედი კვების ფასის გათვალისწინებით.

2015 წლის 24 დეკემბერს შპს „G.M.M“-მა წარმოადგინა სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“-ს ექსპერტიზის დასკვნა N007746515, რომლითაც დადასტურებულია, რომ შპს „G.M.M“-ის მიერ შესაძლებელია კვებითი მომსახურების გაწევა 2016 წლის 1 იანვრიდან 2018 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით - 46,336.8

²⁶ სსიპ ლევან სამხარაულის სახელობის ექსპერტიზის ეროვნული ბიურო - შემდგომში „ექსპერტიზის ეროვნული ბიურო“

ათას ლარად, დღე-ს გათვალისწინებით. ექსპერტები განმარტავენ, რომ მოცემული დასკვნა ეყრდნობა კომპანიის მიერ მოწოდებულ დოკუმენტაციას და წარდგენილი ინფორმაცია არ გადამოწმებულია და ჩაითვალა ექსპერტიზის მიერ, რომ ისინი სანდოა და სწორად ასახავენ კომპანიის მიმდინარე მდგომარეობას.

2015 წლის 30 დეკემბერს საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრომ გაუგზავნა NMOG 31501160376 წერილი ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს, რათა მათ განემარტათ რას ეყრდნობოდა მაისი-დეკემბრის შუალედში ორი ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნის გაცემა, კერძოდ, 2015 წლის 24 დეკემბრის N007746515 ექსპერტის დასკვნა (განსაკუთრებით, 2015 წლის 22 მაისის N5002514915 ფინანსური ექსპერტიზის დასკვნის ფონზე), რომელიც არაა საკმარისად არგუმენტირებული, რომ შესაძლებელია და რეალურია შპს „G.M.M“-ის მიერ ტენდერში შეთავაზებული ფასით პენიტენციური სისტემის სპეცკონტიგენტის სამჯერადი უწყვეტი კვებით უზრუნველყოფა, რამდენად ეყრდნობოდა ის სამომხმარებლო ბაზარზე 2015 წლის მაისიდან დღემდე ფასებისა და ვალუტის კურსის დინამიკის ანალიზს. ასევე, სამინისტროს აინტერესებს რა როლი ითამაშა დასკვნის მომზადებაში შპს „G.M.M“-ის მიერ ექსპერტიზისთვის წარდგენილმა 2014 წლის 1 ივლისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულებამ, რადგან ხელშეკრულების გაფორმებიდან ექსპერტიზის დასკვნის მომზადებამდე (1,5წ.) პერიოდში შპს „G.M.M“-ს ხელშეკრულებით გათვალისწინებული არც ერთი პირობა არ შეუსრულებია, რის გამოც სამინისტრო უახლოეს მომავალში იწყებს ამ ხელშეკრულების გაუქმებისათვის კანონით განსაზღვრულ პროცედურებს.

სამინისტრომ ამავე წერილში კიდევ ერთხელ მოთხოვა ექსპერტთა ჯგუფს შეესწავლათ არსებული გარემოებები მათი შენიშვნების გათვალისწინებით, რომელიც მიეხმარებოდა სამინისტროს სწორი გადაწყვეტილების მიღებაში, რადგან საკითხი ეხებოდა პენიტენციალურ სისტემაში განთავსებული სპეცკონტიგენტის უწყვეტი კვებით უზრუნველყოფას და დაშვებული უმნიშვნელო შეცდომაც კი მძიმე შედეგს მოუტანს სახელმწიფოს. ასევე, სამინისტრომ მოთხოვა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს მიეწოდებინა შპს „G.M.M“-ის მიერ წარდგენილი ყველა მტკიცებულება.

სამინისტროს, ზემოაღნიშნულ წერილში დასმულ კითხვებზე, სსიპ „ლევან სამხარაულის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულმა ბიურომ“ უპასუხა 2016 წლის 6 იანვრის N5000053316 წერილით, რომლითაც გაცემულია არასრულყოფილი პასუხი, რიგ შეკითხვებზე კი - პასუხი საერთოდ არ გაცემულა. თუმცა, ბიურო წერილით ცალსახად ადასტურებს, რომ შპს „G.M.M“-ის მიერ შესაძლებელია გაწეულ იქნას კვებითი მომსახურება ერთ პატიმარზე 3,53 ლარის ოდენობით, ნაცვლად 4,53 ლარისა და განმარტავს, რომ 3 წლიანი ტენდერის შემთხვევაში შპს „G.M.M“-ის მიერ პროდუქტის შეძენა შესაძლებელი იქნება საბითუმო ფასებით და ასევე მათ მიერ მოეწყობა პურ-პროდუქტების საწარმო.

2016 წლის 15 იანვარს სატენდერო კომისიამ განიხილა ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს წერილი და აღნიშნა რომ:

1. ბიუროს მიერ წარდგენილ წერილში კვლავ არ არის არგუმენტირებული, რომ შეთავაზებული ფასით შესაძლებელია და რეალურია პენიტენციალური სისტემის ბრალდებული/მსჯავრდებულის სამჯერადი უწყვეტი კვებით უზრუნველყოფა, რაც დაეყრდნობა 2015 წლიდან დღემდე ფასების და ვალუტის კურსის დინამიკის ანალიზს;
2. ასევე, 2014 წლის 1 ივლისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება განხილულია მოქმედ ხელშეკრულებად, შესაბამისად, კომპანიის მიერ წარდგენილ ტარიფში პურ-პროდუქტების საწარმოს მატერიალური მოსალოდნელი შედეგი გათვალისწინებულია, იმის და მიუხედავად, რომ სამინისტროს მიერ გაგზავნილ წერილში ხაზგასმით აღნიშნულია შპს „G.M.M“-ის ხელშეკრულებით ნაკისრი პირობების შეუსრულებლობა და უზუფრუქტის ხელშეკრულების გაუქმებისათვის დაწყებული პროცედურები;
3. ბიუროს არ წარმოუდგენია შპს „G.M.M“-ის მიერ მიწოდებული არცერთი მტკიცებულება, რაც დაადასტურებდა კვებითი მომსახურების დაფიქსირებულ ფასად გაწევის შესაძლებლობას. აღნიშნულიდან გამომდინარე და აუდიტის ჯგუფთან გაწეული კონსულტაციების შემდგომ, სატენდერო კომისიამ დაადგინა, რომ ექსპერტიზის დასკვნის გადამოწმების ალტერნატიული შესაძლებლობა სამინისტროს არ გააჩნდა და მსჯელობაში მოყვანილი არგუმენტებისა და ექსპერტების მხრიდან პასუხგაუცემელი კითხვების, ურთიერთსაწინააღმდეგო დასკვნების, ასევე ტარიფების შესწავლის მიზნით საკითხი შემდგომი რეაგირებისათვის გადაეგზავნოს საქართველოს მთავარ პროკურატურას (საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2016 წლის 15 თებერვლის NMOC 3 16 00127959 წერილი საქართველოს მთავარ პროკურორს - მასალების გადაგზავნის თაობაზე).

ასევე, სატენდერო კომისია აღნიშნავს, რომ 2014 წლის 1 ივლისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების მიმდინარეობის შესახებ ინფორმაცია გადამოწმდა სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსთან („მესაკუთრე“), რაზედაც კომისიამ მიიღო შემდეგი პასუხი: „2015 წლის 30 დეკემბერს, უსასყიდლო უზუფრუქტის 2014 წლის 1 ივლისის ხელშეკრულების ვადამდე ცალმხრივად მოშლის განზრახვის შესახებ შეტყობინებით, პრობაციის ეროვნულმა სააგენტომ შპს „G.M.M“-ს განუსაზღვრა ვალდებულების შესრულების ვადა 2016 წლის 10 თებერვლამდე“.

აუდიტის ჯგუფის მიერ 2014 წლის 1 ივლისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების შესწავლით დადგინდა, რომ სსიპ - არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტო („მესაკუთრე“) კისრულობდა ვალდებულებას თავისუფლებაშეზღუდულ/მსჯავრდებულთა რესოციალიზაციის მიზნით, საწარმოს მოსაწყობად და მის ექსპლუატაციაში მისაღებად. შპს „G.M.M“-ს „უზუფრუქტუარს“ უსასყიდლოდ 10 წლის ვადით, უზუფრუქტის ფორმით გადაეცა სააგენტოს სარგებლობაში არსებული შენობა-ნაგებობა - ფართით 886კვ.მ (ქ. თბილისი, ო. ხიზანიშვილის N260). უზუფრუქტის ხელშეკრულების ძირითად პირობას წარმოადგენდა:

1. პურ-პროდუქტების საწარმოს მოწყობა-ამუშავება და წარმოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 2 თვეში;
2. მაკარონის საწარმოს მოწყობა-ამუშავება და წარმოების დაწყება ხელშეკრულების გაფორმებიდან არანაკლებ 3 თვეში;
3. მითითებულ საწარმოებში არანაკლებ 40 თავისუფლებაზეზღუდული/ მსჯავრდებულის დასაქმება;
4. მითითებული საწარმოების მოწყობა-ექსპლუატაციისათვის არანაკლებ 140,000 აშშ დოლარის ექვივალენტი ლარის ინვესტიციის განხორციელება 2014 წლის ბოლომდე და ა.შ

ამრიგად, შპს „G.M.M“-მა ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს ფასწარმოქმნის ადეკვატურობის დასაბუთებისათვის მტკიცებულებად წარუდგინა აღნიშნული ხელშეკრულება, რომელიც ბიურომ მიიღო ერთ-ერთ ძირითად მტკიცებულებად, რომ პურზე (რომელიც წარმოადგენს ძირითად პროდუქტს) სხვაობამ ლარებში ერთ პატიმარზე გაანგარიშებით შეადგინა - 0,16 ლარი. თუმცა, ბიუროს ექსპერტების მიერ არ გადამოწმებულა ის გარემოება, რომ შპს „G.M.M“-ის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებები არ სრულდება 1,5 წლის განმავლობაში.

გარდა ამისა, სამინისტროს კვებითი მომსახურების შესყიდვაზე სატენდერო დოკუმენტაციის 4.10 პუნქტში მითითებულია, რომ „გამარჯვებული ვალდებულია შეისყიდოს და გამოიყენოს პენიტენციურ დაწესებულებაში ან/და ბრალდებულთა/მსჯავრდებულთა ნაწარმოები საკვები პროდუქცია“, რაც წინააღმდეგობაში მოდის „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონთან²⁷, რომლის მიზანია სახელმწიფო შესყიდვების განხორციელებისას შესყიდვების მონაწილეთა მიმართ სამართლიანი და არადისკრიმინაციული მიდგომის უზრუნველყოფა. სამინისტროსათვის ცნობილი იყო 2014 წლის 1 ივლისის უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულების არსებობა, რომლის მიხედვით, შპს „G.M.M“-მა აიღო ვალდებულება პენიტენციურ დაწესებულებაში პურისა და მაკარონის საწარმოს მოწყობა-ამუშავებაზე, რაც მას აშკარად უპირატეს მდგომარეობას ანიჭებს ტენდერში მონაწილე სხვა პრეტენდენტებთან შედარებით.

2015 წლის 10 დეკემბრის სატენდერო კომისიის სხდომის N2 ოქმით შპს „G.M.M“-ს დაევალა, რომ წარმოედგინა კვებითი მომსახურების შეუფერხებლად განხორციელებისათვის საკვები პროდუქტების აუცილებელი მარაგების შექმნის შესაძლებლობის არგუმენტირებული დასაბუთება, რომელიც მოითხოვებოდა სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.2 პუნქტით, „შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ გაფორმებული ხელშეკრულებით, ანგარიშ-ფაქტურით (ინვოისით) ან/და სხვა ისეთი დოკუმენტაციით, რომელიც ადასტურებს პრეტენდენტის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას“. აღნიშნული მოთხოვნა შპს „G.M.M“-ს არ შეუსრულებია და სახელმწიფო შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში არ აუტვირთავს

²⁷ საქართველოს კანონი „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ მე-2 მუხლის „გ“ პუნქტი;

შესაბამისი დოკუმენტაცია. სატენდერო კომისიას 2016 წლის 15 იანვრის სხდომაზე (ოქმი N3) არ უმსჯელია მის მიერ წაყენებულ მოთხოვნაზე, რაზედაც ერთ-ერთმა პრეტენდენტმა მიმართა სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭოს, რომელმაც 2016 წლის 4 თებერვლის გადაწყვეტილებით სამინისტროს სატენდერო კომისიას დაავალა, გადაესინჯა 2016 წლის 15 იანვრის სხდომის N3 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება და მიუთითა, რომ სატენდერო კომისიას დეტალურად ემსჯელა შპს „G.M.M“-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაზე („კვებითი მომსახურების შეუფერხებლად განხორციელებისათვის, საკვები პროდუქტების აუცილებელი მარაგების შექმნის შესაძლებლობის არგუმენტირებული დასაბუთება“), რომელიც აკმაყოფილებს, ან არ აკმაყოფილებს სატენდერო დოკუმენტაციის დადგენილ მოთხოვნას და, მხოლოდ ამის გათვალისწინებით მიეღო შესაბამისი გადაწყვეტილება.

2016 წლის 15 თებერვალს შედგა სატენდერო კომისიის სხდომა (ოქმი N4), თუმცა სატენდერო კომისიას არც ამ შემთხვევაში უმსჯელია დეტალურად ამ მოთხოვნაზე და არც არგუმენტირებულად დაუსაბუთებია, რომ შპს „G.M.M“-ი შეძლებდა კვებითი მომსახურების შეუფერხებლად განხორციელებას, საკვები პროდუქტების აუცილებელი მარაგების შექმნას, რადგან შპს „G.M.M“-ს საერთოდ არ ჰქონდა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული დოკუმენტაცია, რომელიც დაასაბუთებდა შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებით პრეტენდენტის მიერ პროდუქტების მომწოდებელ კომპანიებთან გაფორმებულ ხელშეკრულებებს, ანგარიშ-ფაქტურებს(ინვოისებს) და სხვა ისეთ დოკუმენტაციას, რომელიც დაადასტურებდა მის მიერ დაფიქსირებულ ფასად ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულების შესაძლებლობას.

ამასთან, 2016 წლის 15 თებერვალს სატენდერო კომისიამ სხდომაზე (ოქმი N4) არ იმსჯელა შპს „G.M.M“-ის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტზე, რომელიც ეხებოდა ხელშეკრულებით გათვალისწინებულ სანქციებს. აღნიშნული დოკუმენტის წარმოდგენა შპს „G.M.M“-ს დავალებული ჰქონდა 2016 წლის 15 იანვრის სატენდერო კომისიის სხდომის N3 ოქმის დადგენილებითი ნაწილის მე-2 პუნქტით. პრეტენდენტის მიერ სანქციებთან დაკავშირებით შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთული ინფორმაცია სრულ წინააღმდეგობაშია სატენდერო დოკუმენტაციასთან, კერძოდ: ცხრილის 1-6 გრაფით ჩამოთვლილი სანქციების თანხა გათვალისწინებულია ხელშეკრულების მთელ პერიოდზე (ხელშეკრულების საერთო ღირებულება), მაშინ როდესაც სატენდერო დოკუმენტაცია ითვალისწინებს სანქციას ყოველ კალენდარულ წელზე.

ზემოთ აღნიშნული დარღვევების მიუხედავად, 2016 წლის 15 თებერვლის N4 ოქმის მე-2 პუნქტით სატენდერო კომისიამ შპს „G.M.M“-ი გამოავლინა გამარჯვებულად, ხოლო ამავე ოქმის მე-4 პუნქტით დაადგინა, რომ შპს „G.M.M“-ს არაუგვიანეს 6 სამუშაო დღის ვადაში უზრუნველყო ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 2%-იანი გარანტიის წარმოდგენა. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.3 პუნქტის შესაბამისად კი, იმ შემთხვევაში, თუ პრეტენდენტის მიერ წარმოდგენილი სატენდერო წინადადების საბოლოო ღირებულება 20%-ზე

მეტით დაბალი იქნებოდა შესყიდვის სავარაუდო ღირებულებაზე, პრეტენდენტს უნდა წარმოედგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის 10%-იანი საბანკო გარანტია. აქედან გამომდინარე, სატენდერო კომისიის მიერ შპს „G.M.M“-ისათვის 2%-იანი გარანტიის წარმოდგენა ეწინააღმდეგება სატენდერო დოკუმენტაციისა და შესაბამისად, სახელმწიფო შესყიდვების მარეგულირებელ კანონმდებლობას²⁸.

ასევე ტენდერში კომისიის სხდომის N4 ოქმის დადგენილებითი ნაწილის მე-5 პუნქტში მითითებულია, რომ შესაბამისი ხელშეკრულებები გაფორმდეს 5 სამუშაო დღის ვადაში სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, რაც არასწორია, რადგან სატენდერო კომისიას უნდა მიეთითებინა ამავე მუხლის პირველი პუნქტი. ამასთან, ხელშეკრულებების გაფორმება 5 სამუშაო დღის ვადაში ეწინააღმდეგება ამავე ოქმის მე-4 პუნქტს, რომელიც გულისხმობს ხელშეკრულებების უზრუნველყოფის გარანტიების წარმოდგენას 6 სამუშაო დღის ვადაში, რადგან შპს „G.M.M“-მა სამინისტროს ჯერ უნდა წარმოუდგინოს ხელშეკრულებების უზრუნველყოფის გარანტია და შემდგომ უნდა მოხდეს შესაბამისი ხელშეკრულებების გაფორმება.

ამავე, ოქმის მე-5 პუნქტით ხელშეკრულებების გაფორმება დაევალა „სატენდერო კომისიის აპარატს“ და სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნულ სააგენტოს. ამ შემთხვევაში, „სატენდერო კომისიის აპარატი“ არ არის მხარე, რომელიც უფლებამოსილი იქნება გააფორმოს ხელშეკრულება შპს „G.M.M“- თან საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სახელით.

2016 წლის 22 თებერვალს შპს „G.M.M“-მა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთა სადაზღვევო კომპანია სს „არდის“ მიერ გაცემული ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის საბანკო გარანტიები (22.02.2016წ. #FRI/16-086232, თანხაზე - 920,158 ლარი; 22.02.2016წ. #FRI/16-086234, თანხაზე - 6,576 ლარი). აღნიშნული საბანკო გარანტიების მოქმედების ვადა დაფიქსირებულია 22.02.2016წ-დან 28.02.2019წ-ჩათვლით. სატენდერო დოკუმენტაციის 2.2.4 პუნქტის მიხედვით ხელშეკრულების უზრუნველყოფის საბანკო გარანტიის მოქმედების ვადა 30 კალენდარული დღით უნდა აღემატებოდეს ხელშეკრულების მოქმედების ვადას, ხოლო ხელშეკრულების მოქმედების ვადად განისაზღვრა 2019 წლის 31 იანვარი (ჩათვლით). გამომდინარე, წარმოდგენილ საბანკო გარანტიების მოქმედების ვადას დააკლდა 2 დღე. აღნიშნული გარემოება სატენდერო კომისიისთვის

²⁸ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 21-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტი“.

წარმოადგენს პრეტენდენტის დისკვალიფიკაციის²⁹ საფუძველს, ხოლო სატენდერო წინადადების უზრუნველყოფის გარანტია 579,210 ლარის ოდენობით უკან დაბრუნებას არ ექვემდებარება. 8 დღის დაგვიანებით, 2016 წლის 1 მარტს შპს „G.M.M“-მა შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში კვლავ ატვირთა ძველი რიცხვებით, კერძოდ, 2016 წლის 22 თებერვლით დათარიღებული იდენტური ნომრებით გატარებული საბანკო გარანტიები, რომელშიც შეცვლილი ჰქონდა გარანტიების მოქმედების ვადები (22.02.2016წ-დან 05.03.2019წ-ჩათვლით). გარანტიებს თან ახლავს 2016 წლის 22 თებერვლით დათარიღებული სადაზღვევო კომპანია სს „არდის“ N1/16-0334 წერილი, რომელშიც სადაზღვევო კომპანიის მონიტორინგის და მომსახურების დეპარტამენტის უფროსი მ. ქამუშაძე განმარტავს, რომ ტექნიკური ხარვეზის გამო სს „არდის“ მიერ გაცემულ ხელშეკრულების შესრულების საგარანტიო უზრუნველყოფის პოლისებს, რომელთა მოქმედების ვადა განსაზღვრული იყო 28.02.2019წ-ით, დააკლდა 2 დღე. აუდიტის ჯგუფისათვის სერიოზულ ეჭვს იწვევს აღნიშნული საბანკო გარანტიების გაცემის თარიღის გაყალბების ფაქტი, რადგან თუ სს „არდის“ მიერ ხელმეორედ გაცემული საბანკო გარანტიები რეალურად 22 თებერვალს იყო რეგისტრირებული, მაშინ შპს „G.M.M“-იც შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ატვირთავდა 22 თებერვალს (გარანტიის წარმოადგენის ბოლო ვადა) და არა დაგვიანებით, 1 მარტს. ვინაიდან, შპს „G.M.M“-ის მიერ 22 თებერვალს სისტემაში ატვირთული ბოლო დოკუმენტი დაფიქსირებულია სამუშაო საათების დამთავრების შემდგომ (18სთ.16წთ). გამომდინარე, „G.M.M“-ის მიერ ხელმეორედ წარმოადგენილი საბანკო გარანტიები და ზემოთ აღნიშნული წერილიც სს „არდის“ მიერ რეალურად გაცემულია 1 მარტს და დათარიღებულია ძველი რიცხვით, კერძოდ, 22 თებერვლით.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გამო, სახელმწიფო შესყიდვებთან დაკავშირებული დავების განხილვის საბჭომ 2016 წლის 4 მარტს მიიღო გადაწყვეტილება, რომ სატენდერო კომისიას გაეუქმებინა სხდომის N4 ოქმით მიღებული გადაწყვეტილება. გამომდინარე, 2016 წლის 15 მარტს სატენდერო კომისიამ სხდომის N5 ოქმით დაადგინა, რომ შპს „G.M.M“-ს 7 სამუშაო დღის ვადაში წარმოედგინა ხელშეკრულების შესრულების უზრუნველყოფის გარანტიები (ერთობლივი ელექტრონული ტენდერის საჭიროებისათვის ცალ-ცალკე ხელშეკრულებების ღირებულების 10%). ამავე ოქმში აღნიშნულია, რომ კომისიისთვის გაუგებარია შპს „G.M.M“-ის მიერ 2016 წლის 1 მარტს შესყიდვების ერთიან ელექტრონულ სისტემაში ხელმეორედ ატვირთული სს „არდის“ დაზღვევის გარანტიების დაგვიანებით წარმოადგენის გამოძწვევი ფაქტორები.

ასევე, აუდიტის მიმდინარეობის პერიოდში, ძირითადად 2015 წლის დეკემბრის თვეში, შპს „G.M.M“ 2014 წლის 30 დეკემბრის N383 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვნად შესრულების გამო სამინისტროს მიერ დაჯარიმებულ იქნა რამდენჯერმე, რის

²⁹ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავმჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის N9 ბრძანებით დამტკიცებული „გამარტივებული ელექტრონული ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის“ 13-ე მუხლის მე-2 პუნქტის „ვ“ ქვეპუნქტი“.

გამოც შპს „G.M.M“-ს დაეკისრა პირგასამტეხლოს გადახდა ჯამურად 197,848.71 ლარის ოდენობით. კერძოდ, ადგილი ჰქონდა ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების, დადგენილი კვების ნორმების შესაბამისი მენიუებისა და ჩანაცვლების ნორმების დარღვევის ფაქტებს:

- ღვიძლით დაავადებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულებს მენიუთი განსაზღვრული ხაჭო არ მიეწოდათ;
- მენიუს მიხედვით მსჯავრდებულებზე უნდა გაცემულიყო შემწვარი თევზი, ხოლო დიაბეტით და ღვიძლით დაავადებულ მსჯავრდებულებზე - მოხარშული თევზი. შპს „G.M.M“-მა არ მიაწოდა თევზი და განახორციელა მისი ჩანაცვლება სოსისით;
- ღვიძლით და კუჭ-ნაწლავით დაავადებულ ბრალდებულ/მსჯავრდებულებს მენიუთი განსაზღვრული მაწონი არ მიეწოდათ;
- პირგასამტეხლო დაეკისრა უხარისხო და ვადაგასული პროდუქტების, უვარგისი საკვების მიწოდებისთვის და განკუთვნილი ულუფის დაგვიანებისთვის.

ასევე, სსიპ-არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულების და პრობაციის ეროვნულ სააგენტოსა და შპს „G.M.M“-ს შორის არსებული უსასყიდლო უზუფრუქტის 2014 წლის 1 ივლისის ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის გამო, შპს „G.M.M“-ს დაეკისრა პირგასამტეხლო 178,195.07 ლარის ოდენობით.

სატენდერო კომისიის 2016 წლის 22 მარტის სხდომის N6 ოქმის დადგენილებითი ნაწილის პირველი პუნქტის მიხედვით შეწყდა კვებითი მომსახურების შესყიდვის მიზნით გამოცხადებული ზემოთ აღნიშნული ელექტრონული ტენდერი (SPA 150030225), იმ მოტივით, რომ არსებობს რიგი შეუსაბამოებები სატენდერო პირობებში დაფიქსირებულ ჩანაწერებსა და საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობის და სოციალური დაცვის მინისტრის 2015 წლის 13 აგვისტოს N88-N01-34/ნ ერთობლივ ბრძანებაში. აღნიშნული შეუსაბამოებები სატენდერო კომისიის მიერ აღმოჩენილ იქნა ტენდერის გამოცხადებიდან³⁰ 4 თვის შემდეგ.

ზემოთ აღნიშნული სახელმწიფო შესყიდვის პროცედურების შესწავლის მიზნით საკითხი შემდგომი რეაგირებისთვის გადაეგზავნა საქართველოს მთავარ პროკურატურას (სახელმწიფო აუდიტის სამსახურის 2016 წლის 15 მარტის #1625/17 წერილი საქართველოს მთავარ პროკურორს - მასალების გადაგზავნის თაობაზე).

ფინანსური აქტივების ზრდა - აქციები და სხვა კაპიტალი

შპს „პერსპექტივა“ წარმოადგენს სასჯელაღსრულების სამინისტროს მმართველობის სფეროში შემავალი სსიპ - „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული

³⁰ 12.11.2015წ.

სააგენტოს“ მიერ 2011 წლის 29 დეკემბერს 100%-იანი წილით დაფუძნებულ საზოგადოებას. წესდების მიხედვით მის ძირითად საქმიანობას წარმოადგენს პაემნების ინფრასტრუქტურული და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფა. ასევე, მინისტრის გადაწყვეტილების საფუძველზე სამინისტროს სისტემის ფუნქციონირების ხელშეწყობი სხვა საქმიანობის უზრუნველყოფაც. 2015 წლის განმავლობაში შპს „პერსპექტივას“ საბიუჯეტო სახსრებიდან გადარიცხული აქვს 52,470 ლარი - უმწეო პატიმართა ოჯახთან პაემნის დაფინანსების ხარჯები, ხოლო პაემნების მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის და სასესხო ვალდებულებების შესრულების მიზნით, სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრის 2015 წლის 23 მარტის #269615 თანხმობის წერილის საფუძველზე შპს „პერსპექტივას“ სსიპ - „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ არასაბიუჯეტო შემოსულობებით მიღებული სახსრებიდან 35,000 ლარი გადაერიცხა საშინაო კაპიტალის გასაზრდელად. ასევე. ქალთა პატიმრობის, ნახევრად ღია და დახურული ტიპის თავისუფლების აღკვეთის #5 დაწესებულებაში კანონმდებლობით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულების მიზნით, გრძელვადიანი პაემნების ინფრასტრუქტურის მოსაწყობად, მინისტრის მოვალეობის შემსრულებლის 2015 წლის 6 ოქტომბრის #858002 თანხმობის წერილით შპს „პერსპექტივას“ სსიპ - „არასაპატიმრო სასჯელთა აღსრულებისა და პრობაციის ეროვნული სააგენტოს“ არასაბიუჯეტო შემოსულობებით მიღებული სახსრებიდან 110,000 ლარი გადაეცა კაპიტალის გასაზრდელად.

აუდიტორების ხელმოწერები	თარიღი	ხელმოწერა
ზოია შიშინაშვილი აუდიტორი (ჯგუფის ხელ-ი)	<u>13.07.2016</u>	<u>8. ჯი...</u>
ვალერი სანაია წამყვანი აუდიტორი	<u>13.07.2016</u>	<u>ვ. სანაია</u>
ანა ზავრაშვილი აუდიტორი	<u>13.07.2016</u>	<u>ანა ზავრაშვილი</u>
თამარ ბარბაქაძე აუდიტორ-ასისტენტი	<u>13.07.2016</u>	<u>თ. ბარბაქაძე</u>